## მოდულის დასახელება:
## „საგაკვეთილო დაკვირვება"
## 10 საათი

**მოდულში ჩართვის წინაპირობა და შერჩევის მექანიზმი:**
„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში" ჩართული საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრები.

**მოდულის მიზანი და მისაღწევი შედეგები:**

- მონაწილეები გააცნობიერებენ, რომ სასწავლო პროცესზე კოლეგების დაკვირვება არის მასწავლებელთა პროფესიული თანამშრომლობის საუკეთესო საშუალება, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. გააცნობიერებენ შეფასების ჯგუფის როლს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტში..
- მონაწილეები გაეცნობიან საგაკვეთილო დაკვირვების მიზნებს, მათი წარმართვის ძირითად პრინციპებს და შეფასების ჯგუფის როლს ამ პროცესებში.
- მონაწილეები გააცნობიერებენ განმავითარებელი უკუკავშირის მნიშვნელობას, გაეცნობიან იმ ძირითად წესებს, რაც უნდა დაიცვას როგორც უკუკავშირის გაცემა, ასევე მიმღებმა, რათა შეძლონ განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირის გაცემა.
- მონაწილეები გაენობიან გაკვეთილის გეგმის ძირითად კომპონენტებს, შეძლებენ  თემატური და გაკვთილის გეგმების შეფასებას.
- მონაწილეები შეძლებენ საგაკვეთილო დაკვირვების მთელი პროცესის შეფასებას შეფასების სქემებზე დაყრდნობით და კოლეგისთვის განმავითარებელი კომენტარების გაცემას.

**მოდულის  მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით:**
10 საკონტაქტო საათი, 5 არასაკონტაქტო საათი, ჯამში -  0,5 კრედიტი.

**მსმენელთა შეფასების სისტემა:**
საბოლოო შეფასება მოხდება კურსის დასრულებისას და დაეფუძნება შემდეგ კომპონენტებს:

- აქტიურობა - 20%
- ვიდეო გაკვეთილის ანალიზი და შეფასება - 80%